

ბიჭა

572
1985





ღენინი ახლოვების მოგონებები

ვლადიმერ ილიას ძე ღენინს წ და-ძმა ჰყავდა. მისი უფროსი და—ანა ულიანოვა-ელიზაროვა იგონებს, რომ ვალოლიას ძალიან ეადვილებოდა სწავლა, კლასიდან კლასში გადასვლისას მუდამ პირველ ჯილდოს იღებდა. ნიქიტების გარდა ამაში ეხმარებოდა საქმისადმი სერიოზული და გულსუფურიანი დამოკიდებულება. ამ მხრივ მასზე დიდი გავლენა იქონიეს მშობლებმა და, განსაკუთრებით, უფროსმა ძმამ საშამ, — დაკვირვებულმა, მტკიცე ხასიათის, სამართლიანმა და გულოსშიერმა ბიჭმა.

ვალოლიას თამაშის და გაართობის თანაზიარი იყო მისი მომღვინე და, ოლია, — ნიქიტრი, მკვირცხლი და უადრესად შრომისმოყვარე გოგონა. ერთხელ, როცა მფორე ოთახში ოლია ფორტეპიანოზე ვარჯიშობდა, ვალოლიას უთქვამს უფროსი დისთვის: „აი, ვისი შრომის უნარი შეიძლება შეზღუდეს კაცს“. ოლიას გავლენით

დაიწყო მან თურმე თავისი შრომისუნარიანობის განვითარება, რომლითაც შემდგმ ცველას აკვირვებდა...

ღენინის ძმა, დემიტრი ულიანოვი იგონებს, როგორ მღეროდა ხოლმე ვალოლია ოლიას აკომპანემენტით ან მასთან ერთად.

„ისინი დღეობდნენ მღეროდნენ იაზიკოვის სიმღერას „მცურავი“ — და მე მახსოვს ბოლო კუბლეტით განცდილი შთაბეჭდილება:


მხოლოდ სულით ძლიერი
მღელვარე ზღვას გაკურავს!
მეღვრად, ძმებო!
ქარიშხალით დაბერილა
ჩემი აფრა მალალი და ტაკუნა.

...1889 წლის ზაფხულში პირველად მოვიხსინე „ინტერნაციონალი“, რომელიც მაშინ რუსეთში, შეიშლება ითქვას, არავინ არ იცოდა. ...ოღვა რაიალზე უკრაფდა და დაკერა „მარსელიეზით“ დამამთავრა. მე მივირბინე და ვთხოვე, კიდევ დაკერა. უცებ ვლადიმერ ილიას ძე მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, ახლა „ინტერნაციონალი“ უნდა ვიმღეროთო. დამამ ერთად ააწყო რაიალზე ახალი სიმღერა, შემდეგ ამღერდნენ — ხმადაბლა, ფრანგულად...

ღენინის უმცროსი და—მარია ულიანოვა იგონებს, როგორ უყვარდა ვლადიმერ ილიას ძეს ბუნება. „მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნება და დასვენება იყო მიყრუებულ, უკაცრიელ ადგილებში სერიაობა; სადაც, მისივე თქმით, „ნამდვილი ბუნებაა“.

„...თავის ოთახში ის მხოლოდ დამესთავდა. დილით კი, ჩაის დალევა თუ არა, აიღებდა წიგნებს, რვეულებს და ლექსიკონებს, და სამეცადინოდ ბაღში გავიდოდა... ბაღში თავისი კუთხე ჰქონდა—ცაცხების ჩრდილში მოწყობილი ხის მაგიდა და სკამი. აი ამ კუთხეში სერიაოზული მუშაობით იყო ხოლმე დაკავებული სადილობამდე. ვლადიმერ ილიას ძემ სისტემატურად და გულმოდგინე მუშაობა იცოდა. წიგნებს უბრალოდ კი არ კითხულობდა, შესწავლიდა, ამუშავებდა მათ“.

17. 973



გივი ძვალაძე

ვინ რა გააჩნია

სამ მძის ჰკითხეს:
 — რა გააჩნიალთ?—
 არც კი მანსოვს,
 რა თქვა ბადრიმ
 (ბადრი-ბიჭი უფროსია,
 აგურ ახლა გახდა ათის);
 ზურციკელამ,—შუათანამ,—
 მე თუ მკითხავეთ, ბებოს სათრით,—
 ექიმო!—რინთ თქვა და...
 ბებომ მისცა შოკოლადი!
 სულ უმცროსის ჯერი დადგა,
 ხმას იბოხებს ჩვენი რატიც:
 — იცით, იცით, რა გააჩნიალ?—
 რა და... რა და... კოსმონავტი!..



ს.კ. სსრ კ. შარკოს
 სახ. სახ. რეკლამა,
 ბიბლიოთეკა



დოქტორი ვინც ვინაა

და გაინახ იგი ბრუნავს!..

ბავშვებო, იყო დრო, როდესაც ადამიანებმა არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა დედამიწა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები. ისინი ფიქრობდნენ, რომ დედამიწა უძრავია, იგი უჭირავს კუს ბაკანზე შემდგარ სამ სპილოს, ხოლო ეს კუ ოკეანეში დაცურავს.

დაახლოებით ხუთასი წლის წინათ პოლონელმა მეცნიერმა კოპერნიკმა აღმოაჩინა, რომ დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის ირგვლივ და მოძრაობს მზის გარშემო. მეცნიერის ამ აღმოჩენამ სრულიად შეცვალა ადამიანების შეხედულება დედამიწისა და მზის შესახებ. ეს აღმოჩენა კათოლიკურმა ეკლესიამ საშიშად მიიჩნია, ამიტომ კოპერნიკის წიგნი აკრძალა და საჯაროდ კოცონზე დაწვა. კოპერნიკის იდეებს გამოუჩნდნენ დამცველები და გამგრძობლები სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის. ერთი მათგანი გახლდათ იტალიელი მეცნიერი ჯორდანო ბრუნო, რომელმაც დაამტკიცა, რომ სამყარო უსასრულოა. ამის გამო ის რვა წელი ჰყავდათ ციხეში და აიძულებდნენ, უარი ეთქვა თავის აღმოჩენაზე. მაგრამ ჯორდანო ბრუნო მაშინაც არ გატყდა, როდესაც კოცონზე დაწვა მიუსაჯეს.

დიდმა მეცნიერმა და ფიზიკოსმა გალილეო გალილემი შექმნა მსოფლიოში პირველი ტე-

ლესკოპი, რომლის დახმარებითაც გაცილებით გაიოლდა დაკვირვება ვარსკვლავებისა და პლანეტების მოძრაობაზე. გალილემი დაადგინა, რომ მთვარე არ არის გლუვუნდაპირიანი დისკო, არამედ სფეროა. მასზე ისევე არის მთები, როგორც ჩვენს დედამიწაზე. მანვე მზეზე აღმოაჩინა ლაქები. როცა მეცნიერის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, მან მოჩვენებითად ვითომ უარყო თავისი იდეა მიუხედავად ამისა, იგი მაინც დაიჭირეს. ციხის შემდგომ კი მუდმივი მეთვალყურე მიუჩინეს. ამბობენ, რომ გალილემის უკანასკნელი სიტყვები იყო: „და მაინც იგი ბრუნავს“.

დღეს კი ყველა მოსწავლემ კარგად იცის, რომ დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის ირგვლივ და მოძრაობს მზის გარშემო.

გასულ საუკუნეში კოსმოსში გაფრენის მწერლების ფანტაზიის ნაყოფად თვლიდნენ. კოსმოსურ სივრცეში ფრენის შესაძლებლობა პირველად რუსმა მეცნიერმა კონსტანტინე ციოლკოვსკიმ დაასაბუთა მე-19 საუკუნის ბოლოს. შემდეგ ათასობით ნიჭიერი გამოგონებელი-ინჟინერი თუ კვალიფიციური მუშის შრომა გახდა საჭირო, რომ ავეოთ მძლავრი რაკეტები, რომლებიც კოსმოსურ ხომალდებს გაიყვანდნენ სამყაროს შეუცნობელ სივრცეში.

1957 წლის 4 ოქტომბერს მსოფლიო გააცაღდა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებამ კოსმოსურ სივრცეში. სპეციალური კოსმოსური სამოსვლით იფრინეს ძაღლებმა ბელკამ და სტრელკამ, ხოლო მათთან ერთად — ორმოცმა თავგამა, ორმა ვირთხამ, მწერებმა და მცენარეებმა. შემდეგ კოსმოსური ხომალდის კაბინით იფრინა აგრეთვე მანკენმა „ივან ივანიჩმა“. ეს იყო ადამიანის ასლი. გამომგონებლებმა იგი ხელოვნური ხმითაც „აღჭურვეს“ — მთელი ფრენის განმავლობაში „ივან ივანიჩი“ პიატნიცკის სახელობის გუნდის სიმღერებს მღეროდა.

1961 წლის 12 აპრილს კოსმოსურ სივრცეში გაფრინდა მსოფლიოში პირველი კოსმონავტი, საბჭოთა მოქალაქე იური გაგარინი. ფრენა დედამიწის გარშემო ხომალდთანამგზავრ „ვეოსტოკი“ 1 საათი და 48 წუთი გაგრძელდა.

იმ პირველ ნაბიჯს შემდეგ უფრო გაბედული ექსპერიმენტები მოჰყვა — ხომალდიდან ღია კოსმოსში გასვლა, ავტომატური ხელსაწყოებით მთვარის ქანების ნიმუშების დედამიწაზე ჩამოტანა, ამერიკელი ასტრონავტების მთვარეზე დაშვება, მარსზე დამშრალი მდინარეების კალაპოტების ფოტოგადაღება, საბჭოთა კოსმონავტების ჯგუფური მრავალღიანი ფრენა ხომალდ-ლაბორატორიებით და სხვ.

აღბათ დაგებადებით შეკითხვა, აქვთ თუ არა რაიმე წვლილი კოსმოსური კვლევის განვითარებაში ქართველ მეცნიერებს?

პასუხი ასეთია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე ინსტიტუტი უშუალოდ მონაწილეობს იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებსაც აყენებს კოსმოსური კვლევა. საერთო საკავშირო გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა ოპტიკურ დამზერთა სადგურები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტთან და აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

ბევრ შემთხვევაში, რამდენიც არ უნდა ვიმოგზაუროთ კოსმოსში, რაც არ უნდა შორს შევეცადოთ გაფრენას, ამომწურავი პასუხის გაცემა სამყაროს რაობაზე დღეს ძნელია. წინ ბევრი საშუაოა. შესაძლებელია, რამდენიმე

ათეული წლის შემდეგ ადამიანებმა ააშენონ კოსმოსური ქალაქები, კოსმოსური დასახლებები და კოსმოსური სოფლებიც კი. იქნება სულაც თქვენ მოგიწიოთ კოსმოსური დასახლებების მშენებლობა. ამისთვის ბეჯითი სწავლა და შრომაა საჭირო.





ვლადიმერ ანატოლივიჩი

ღამის თვალს

ჩიტი იჯდა და თავს აკანტურებდა, თითქოსდა თავის კანტური მისთვის უპირველესი საქმე ყოფილიყო. ჩიტს სახელიც ჰქონდა — დურაჯი ერქვა. ის ბიჭი კი, კვალში რომ ჩადგომოდა დურაჯს, უსახელო იყო. მის ტომში ადამიანებს ჯერ კიდევ ვერ მოეფიქრებინათ ერთმანეთისათვის სახელების დარქმევა. იყვნენ ბიჭუნები და გოგონები, კაცები და ქალები, გადაყრუებული დედაბრები და ბერიკაცები, და კიდევ — იყო დედა.

ბიჭს ადრეც ენადირო დურაჯზე. დურაჯი უნდა დაფრთხო და დამფრთხალი ისე აიჭრება ცაში, როგორც ცეცხლის ალი უზარმაზარი ჭიაკოკონიდან. შორს კი ვერ გა-

ფრინდება, სუსტი ფრთები აქვს და იმიტომ, დაჯდება ბალახზე და გაიქცევა. ამ დროს ერთხელ კიდევ უნდა დააფრთხო. ახლა წინადადებზე ორჯერ უფრო ნაკლებს იფრინებს მესამედ, აფრენით კი აფრინდება, მაგრამ მაშინვე დაჯდება და მინას გაერთხმება.

ბიჭუნამ მინაზე დურაჯის გამოსახულება მოხაზა, ეგება მისი სული ჩემს მხარეზე გადმოვიბიროო, და ჩიტს გამოუდგა.

დურაჯი აფრინდა, მაგრამ თითქოს ვიღაცამ უკან დაქაჩაო, უცბადვე დაბლა დაეშვა. იმავე წამს ბიჭუნას ფეხებქვეშ მინა გამოეცალა.

...მშრალი თიხის პანანა გუნდები შრიალით იმზღვლეოდა. ბიჭი უზარმაზარი ორმოს ძირში ინვა, თავზემით კი ბალახში გაბლანდული დურაჯი ფართხალეობდა.

ბიჭუნამ ქვები შეაგროვა და დურაჯს სროლა დაუნყო. პირველსავე ცდაზე დურაჯი მის ფერხით დაეცა. ბიჭუნა ჩაფიქრდა.

„ორმოში ვზივარ, — ფიქრობდა იგი, ღრმა ორმოა... — და ახლალა მიხედა: — ეს ხომ ხაფანგია! ადამიანებს მხეცის დაჭერა უნდოდათ.“

ბიჭს შიშისაგან ძარღვებში სისხლი გაეყინა. მან დაინახა, როგორ შეიღობა ღრუბლები ვარდისფრად. იცოდა, რომ ღრუბლები მალე გამჟღავნდებოდა და დედამინაზე ღამე ჩამოდგებოდა. მის ტომს კი შიშის ზარსა სცემდა ღამე.

მტრისას, თუ ღამემ გამოქვაბულის გარეთ მოგისწრო, კაცები შებინდებისთანავე გამოქვაბულის შესასვლელს უზარმაზარი ლოლით ქოლავდნენ.

...იგი თვალუბდახუჭული იჯდა და ხელში ნამახული ქვა ჰქონდა ჩაბლუჯული. უცბად მინა ჩამოეყარა. ზედ მის თავზე მხეცის შემზარავი ბრდღვინვა გაისმა. ბიჭუნამ თვალი გაახილა და აიხედა. ორმოს პირზე ორი მწვანე ცეცხლოვანი ნერტილი გამოკრთა. ეს ჯიქი იყო!

ჯიქი ბრჭყალებით მინას ფხოქნიდა. აბა როგორ არ დაფხოქნიდა, როცა ნადავლი ცხვირწინ ჰყავდა, მიდგომით კი ვერ უდგებოდა. ბიჭუნამ მთელი ძალით სტყორცნა ქვა უზარმაზარ კატას მწვანე თვალში. ჯიქმა შემზარავად დაიკანავა.

„მოვარტყი! — დაასკვნა ბიჭუნამ. — ეს მხეცი ადამიანებს ერჩოდა და ამიტომ დააპირეს მისი მოკვლა.“

ახლალა შემჩნია ბიჭუნამ, რომ ცაში ცეცხლის პანანკინტელა ნერტილები კიაფობდა.

„მე ღამეს თვალებში შევხედე!“
იგი ორმოს ფსკერზე დაეცა და შურისგებას დაელოდა. დრო გადიოდა, ღამე კი რა-

ტომლაც ავციანებდა ბიჭუნას დასჯას.

„ჯიქის თვალები ღამის თვალებზე უფრო შემზარავი იყო“, — გაიფიქრა ბიჭუნამ.

კიდევ ერთხელ მოუნდა, თვალი შეეღვლო იმ ნათელი წერტილებისათვის, ცა რომ მთლიანად მოეჭვად.

„თუ ღამის თვალებში სიკვდილი ბუდობს, სასჯელი არ ამცდება, მე ვნახე ისინი. ერთხელ კიდევ შევხედავ მათ და დედას მოუყვები.“

ციური ნაპერწკლები ლურჯ, წითელ, თეთრ ფერებად ენთო და ისე ღამაზად ჩახჩახებდა, რომ ბიჭუნას მზის სხივებში აციმციმებული დილის ცვარ-ნამი გაახსენდა. ნაპერწკლები არ მიცურავდნენ ცაზე, არც ქრებოდნენ და არც ისეთ ჭიაკოკონად ერწყმოდნენ ერთმანეთს, მებისაგან აალბულ ტყეში რომ გაჩაღდება ხოლმე.

ბიჭუნამ უამრავი ნაპერწკლებიდან ერთს — ნარინჯისფერს დაადგა თვალი, უყურებდა, უყურებდა და ყურებით ვერ ძღებოდა. მერე რაღაც მოანვა გულზე და მოულოდნელად იგრძნო, რომ თვალები ცრემლით ავსებოდა. ღმერთმა იცის, რატომ! აკი არავის უწყენინებია მისთვის. საოცარი ის იყო, რომ ცრემლის მონმენდა არ უნდოდა, არ რცხვენოდა მისი და იმიტომ. არ რცხვენოდა, რადგანაც არ შედრკა, არ შეუშინდა ღამეს.

მონადირეებმა იგი გარიჟრაჟისას იპოვეს და გამოქვაბულში მიიყვანეს. დედა ამ დროს ყვავილებისა და ბალახეულის გროვას არჩევდა. სამკურნალო ბალახით იგი ძალას უბრუნებდა ხოლმე დაძაბუნებულთ.

დედამ მონადირეებს შეავლო მზერა და ისინი გამოქვაბულიდან გავიდნენ.

— შეხედე ღამეს თვალებში? — შეეკითხა დედა.

— შევხედე, — უპასუხა ბიჭუნამ.

— რატომ არ მოკვდი?

— არ ვიცო. თვალებიდან ცრემლი მდიოდა, მაგრამ ტკივილა ირ მიგრძენია. მინდა მუდამ ვუცქირო ღამეულ ცას, — თქვა ბიჭუნამ.

დედამ დაკვირვებით შეხედა.

— შენ არ გახსოვს ჩვენი მოხუცი დედა. მან დიდი ხანია დაგვტოვა. პოდა, ის ამბობდა: ვინც ცას შეჰყურებს, ის ვარსკვლავებთან წავა. ადამიანები კი მინაზე ცხოვრობენ და მინაში უნდა წავიდნენო.

— მე ვნახე ვარსკვლავები. მე ვარსკვლავებთან წავალ. — წამოიძახა ბიჭმა და სახე გაუცისკროვნდა.

— ჩვენ მართო არ დაგტოვებთ, — თქვა დედამ. — მე სხვა წინასწარმეტყველებაც ვიცი: „ერთის გაკვალული გზა სხვებისთვისაც გზად იქცევა“.

ტომი უხმოდ შემოსხდომოდა კოცონს. დედა ადგა და ბიჭუნას თიხისაგან გამოძენილი ყველაზე ძლიერი, ყველაზე კეთილი კერპი ჩაუდო ხელში. მამაკაცებმა „იარაღი მოიმარჯვეს: ზოგს კომბალი ეჭირა, ზოგს — შუბი, ზოგსაც — ქვის ნაჯახი. მერე გამოქვაბულის შესასვლელს ვეება ღოღო მოაცილეს.

ბიჭუნა პირველი გავიდა გამოქვაბულიდან. წინ მთელი ცა და ვარსკვლავები გადაეშალა.

— ო! — აღმოხდა მას და ხელანდელი გაემართა ამ მოკაშპაზე სამყაროს შესახვედრად.

ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ გამოქვაბულიდან ადამიანები, ყურდებოდნენ და უსმენდნენ, თუ რა ძალუმად ძვერდა მათ მკერდში სიცოცხლე.

თარგმან საბლ ზოტკოველმა



მხატვარი ნანა სულემიანაშვილი

კითხვა-პასუხის ლექსი

- აბა რაა, თუ იცი, ყველაფერზე მთავარი!
- ყველაფერზე მთავარი? — საქართველოს მთა-ბარი!
- აბა, რაა, თუ იცი, ყველაფერზე მაღალი!
- ყველაფერზე მაღალი? — საქართველო ახალი!
- სხვაზე მეტად ვინ უყვარს საქართველოს მიწა-წყალს?
- ვინც სულ წიგნებს კითხულობს და ყვეილებს ვინცა რწყავს!



მზავრული

ჩაუვარეთ ზესტაფონს,
 ჩაუვარეთ მარფლისს,
 გავიარეთ გორი და
 გავიარეთ ქარელი.
 აგე: ძროხა ბალახს ძოვს!
 ეგე: ძროხას შვილი წოვს!
 ხელავე მამალს? კისერს რომ
 სხვის ღობეში ყოფს?
 მატარებლის ხმაურშიც
 ისმის ყიყ-ლი-ყო!
 ინლაური კრიახებს.
 ძაღლი ზანტად ყფფს.
 ცაზე ღრუბლის ნაგლეჯი
 შგავს ბაბუას კეპს!
 ჩაუვარეთ კასპსა და
 ჩაუვარეთ მცხეთას!
 მამი, მამი! თბილისი!
 ტელეანძას ხელავე?



ცოცხლო და ხრამულო,
უნდა შეგახრამუნო!
ხომ არ იცით, ცოცხალი
რატომ ჰქვია ცოცხალს!
მტკვარში რომ მოვისროლო,
ვითომ ვერ მოცოცხავს?
ცოცხლო და ხრამულო,
უნდა შეგახრამუნო!
ალარ ჩანხართ სუფრაზე,
კეფალო და თართო!
არ შეგეჭამოთ ვეშაპმა,
მე ვგ არ ვიღარდო!
ცოცხლო და ხრამულო,
უნდა შეგახრამუნო!



გასაიკრება ღილით

ვიმზირები ქაში.
ვილაც მხედავს კიდან.
— ვინ მიყურებს კიდან!
გამარჯობა! კიტა!
მაგნოლიის ტოტზე
შემომჯდარო ჩიტო,
შემომხედე წამით!
გამარჯობა! კიტა!
მოიღია მსხალი.
შეითვალა თითა.
გამარჯობა, თითავ!
რქაწითელო, კიტა!
გაფრიდე ღრუბელს,
გადმოგვხედე ციდან,
მოკაშკაშე მზეო,
გამარჯობა, კიტა!



ნათელურის ახალი თავგადასჯარი

სცენარის ავტორი - შინაპრემიერი
მხატვარი - გიგა ლავაუნი





10



11



12



13



14



15



16



17



18



ბურამ ამბრიაშვილი

მხატვარი ნანა ზურაბულია

ირინეს ბალიშები

ირინე პატარაა და ძალიან უყვარს ძილი. ჩაეხუტება ხოლმე დიდ ბალიშს და იძინებს ტყბილად...

მაგრამ აი, უკვე ერთ კვირაზე მეტია, ყოველდღამე ბალიშს ჰკარგავს ირინე. დაიძინებს ბალიშჩახუტებული, დილით კი უბალიშოდ იღვიძებს. ნამოჯდება და გაოცებული იყურება აქეთ-იქით.

ბალიში არსადაა. ფანჯარა კი ღიაა! მშობლებმა იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს გამოძიებლისათვის ეთხოვთ დახმარება.

გამომძიებელი მალე მოვიდა. ის ერთი ჩასუქებული კაცი იყო და სქელი პორტფელი ამოედო ილღიაში.

უამბეს ყველაფერი. აი, ერთი ბალიშილა დაგვრჩაო.

— მაშ ფანჯარა დილით ღია გხვდებათ? — მოჭმუნა შუბლი გამოძიებელმა. მერე თითი ასწია და მტკიცად თქვა: — ფანჯრიდან ქურდი შემოდის და იპარავს ბალიშებს.

— მეხუთე სართულზე? — შეეჭვდა მამა.

— ეჰ, ქურდები სართულებს არ დაგიდევენ. — ამოიოხრა გამოძიებელმა.

— კი მაგრამ, რაღა ბალიშებს იპარავს?

— ჰკითხა მამამ.

— ან რაღა მართო ირინეს ჰპარავს? — დაამატა დედამ, — არც მე მპარავს, არც მამა, არც ოლიკოს.

— ეგ არ ვიცი. — კვლავ შეჭმუნა შუბლი გამოძიებელმა, — აი, როცა დავიჭერთ, ვკითხავთ და გვეტყვის.

— ჰოო, — თქვეს დედამ და მამამ ჩუმად.

— ამაღამ მე ამ ოთახში დაწვეები ფანჯარასთან. ქურდი რომ შემოძვრება, მაშინვე ვწვდები ფეხებში და დავიჭერ, — თქვა გამოძიებელმა და ჩაფიქრდა.

— მაშ ფანჯარასთან გაგიშალოთ ლოგინი? — ჰკითხა დედამ.

გამომძიებელმა მაშინ ვერ გაიგო, თუ რა ჰკითხეს. ეტყობა, უკვე ის წარმოიდგინა, თუ როგორ იჭერდა ქურდს. მარჯვენა ხელის ცერა თითს ნელა ისვამდა ლაბაზზე და დაყინებით უცქეროდა ფანჯარას.

მერე გამოერკვა:

— ლოგინი?... აჰ, ლოგინი არაა საჭირო. ჩაცმული მიწვეები დივანზე ყველა შესაძლებლობა უნდა გაითვალისწინოთ. დაფუშვით, რომ ქურდი ჯამიხლტა ხელიდან. მაშინ დადევნება მომინევს, ჩაცმაში კი დროს დაკარგავ.

მამამ შესთავაზა:

— იქნებ მეც აქ დაწვე, დაგეხმარებოდით ქურდის შეპყრობაში.

— არა, — გადაჭრით თქვა გამოძიებელ-

ლმა, — აქ ჩვენ ორნი უნდა ვიყოთ. სხვა ხელს შეგვიშლის...

...რომ დალაშქრდა, გამომძიებელი წამოწვა დივანზე და, რადგან სახლში ბალიში აღარ იყო, თავისი სქელი პორტფელი ამოიღო თავ-ქვეშ.

— ბიძია გამომძიებელი, შუქი გამოვრ-თოთ? — ჰკითხა ირინემ.

გამომძიებელს კი უკვე ჩასძინებოდა. ირინეს შეეცოდა, ყოველდამე ქურდებს დასდევს და ეტყობა, ძალიან დაიღალა. ტკბილად ხვრინავდა გამომძიებელი... ირინემ შუქი გამორთო.

თვალგახელილი იწვა სიბნელეში, ყურს უგდებდა უცებ ამოვარდნილი ქარის ხმაურს და ფიქრობდა: მე არ დავიძინებ, ქურდი რომ მოვა, დავიყვირებ, გამომძიებელს გაეღვიძე-ბა და დაჭერსო.

მერე ირინეს ჩაეძინა.

ცივი ქარი უბერავდა გარეთ...

...დილით კვლავ უბალიშოდ იყო ირინე. ფანჯარა კვლავ ღია იყო და ორივენი გა-ცივებულნიყვნენ, — ირინეც და გამომძიებე-ლიც.

დედამ თაფლიანი რძე დააღვინა ორივეს. მამამ ერთ კარგ ექიმს დაურეკა, გთხოვთ მორძანდეთ, ავადმყოფები გყვავსო.

ექიმი კითხილი მოხუცი კაცი იყო. მან მა-შინვე იცნო გამომძიებელი, მაგრამ ცხოვრე-ბაში იმდენი რამ ენახა, რომ სულაც არ გაუ-კვირდა, აქ რომ ნახა ეს კაცი, დივანზე წამო-წოლილი, თავქვეშ პორტფელამოდებული და სიცხიანი.

— წუხელის ცივი ქარი ქროდა, ფანჯა-რა არ უნდა გაგეღოთ, — უთხრა ექიმმა ირი-ნეს და გამომძიებელს, გახსნა თავისი კოხტა ჩანთა, ამოიღო ტკბილი წამალი და დააღე-ვინა ორივეს.

— ორ საათში კარგად გახდებიან, — უთხ-რა მერე ირინეს მშობლებს. „ ოღონდ მაინც უნდა გითხრათ, თუცა ძალიან კი მეუხერ-ბულბება: გამომძიებელი დიდა, და მისი ნე-ბაა, რასაც უნდა დაიდებს თავქვეშ, მაგრამ თუ გინდათ, ბავშვი მალე გამოჯანმრთელ-დეს, სჯობს, თავქვეშ ბალიში დაუდოთ და არა დაკეცილი ზენრები და პირსახოცები.

დედა განითლდა.

— იცით, ბალიში არა გვაქვს.

— ჰაი, — ისე თქვა ექიმმა, ეტყობა, იფი-ქრა, ძალიან უცნაური ოჯახიაო.

მამამ ყველაფერი უამბო.

მოხუცი ექიმი ყურადღებით უსმენდა. მე-რე თავი დაღუნა, სათვალის ზევიდან დახედა ირინეს, გაუღიმა, მამ ბალიშებსა ჰკარგავო? და ახლა გამომძიებელს მიუბრუნდა:

— თქვენ არ გეწყინოთ, მაგრამ მე მგონი მივხვდი, რაც მოსდის ირინეს ბალიშებს.

გამომძიებელი დივანზე წამოჯდა და მხრები აიჩეჩა, მე რატომ უნდა მეწყინოსო.

— ერთი ეს მითხარით, როდის დარკავა პირველი ბალიში? — ჰკითხა ექიმმა დედამ.

— ათი დღის წინათ, — უპასუხა დედამ და დაამატა: — ზუსტად ათი ბალიში გვექონ-და.

— აბა გაიხსენეთ, პირველი ბალიშის და-კარგვის წინა საღამოს ტელევიზორს თუ უც-ქირა ბავშვმა.

— უცქერო. — უპასუხა თვითონ ირინემ.

— ნახე, ის ლამაზი ცისფერი ტბა რომ ყო-ფილა აფრიკაში?

— ვნახე... ტოჩიბუტუს ტბა... — თქვა ირინემ ჩუქმად.

მოსუცმა ექიმმა ისევ გაუღიმა ირინეს:

— ახლა ეს მითხარი, ლამამობით იმ ტბის თავზე ხომ არ დაფრინავ სიზმრებს?

თითქოს სწორედ ამ კითხვას ელოდაო, ირინე სწრაფად წამოჯდა ლოჯინში და გახა-რებულმა რამდენჯერმე დაეძინა თავი.

მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს. გა-მომძიებელი წამოდგა და ექიმს შეაჩერდა.

ირინემ კი მხიარულად წამოიძახა:

— დაფვრინავ! დაფვრინავ! მადლიდან ისეთი ლამაზია ცისფერი ტბა!

— ჰოდა შენს სიზმრებს ბალიშებიც ხე-



დავენ და იმათაც მოუნდათ ფრენა. ისე ძალიან მოუნდათ, რომ მართლა გაფრინდნენ და იქ დაფრინავენ ახლა, — უთხრა ექიმმა ირინეს.

— ბალიშები რომ გაფრინდნენ, ეს, ცხადია, თქვენი ფანტაზიებია, მაგრამ ის კი მართლა საინტერესოა, თუ როგორ მიხვდით, რას ხედავს სიზმრად ირინე.

— ძალიან იოლად მივხვდი, — უპასუხა ექიმმა, — ის გადაცემა რომ ვნახე ტელევიზორში, იმ ღამით სიზმარში მეც ვიფრინე ტბის თავზე. ხოლო რაც შეეხება ბალიშების ფრენას...

ექიმმა ჩანთიდან გაზეთი ამოიღო, გაშალა და წაიკითხა:

„უცნაური ამბავი.
აფრიკაში, ტოჩობუკტუს ტბის თავზე ამ რამდენიმე დღის წინათ შენიშნეს რაღაც მფრინავი საგნები. ისინი ძალიან ჰგვანან ბალიშებს და მათი რიცხვი ყოველდღე ერთით მატულობს.“

— საინტერესოა, — ჩაფიქრდა გამომძიებელი და ცერი მოისვა ლაბაბზე. — ახლა ერთი ესეც მითხარით, ირინეს სიზმრებს რატომ დაუკავშირეთ ბალიშების დაკარგვა? სიზ-

მარში იმ ტბის თავზე რომ იფრინეთ, მერე თქვენც ხომ არ დაკარგეთ ბალიშები?


— არა, მე არ დამიკარგავს, — თქვა ექიმმა ნალვლიანად, — მე მოხუცი ვარ და ეტყობა, მოხუცობისას ისე ძლიერი აღარაა ფრენის წყურვილი. ბავშვობაში კი მეც ხშირად მეკარგებოდა ბალიშები და სწორედ იმის შემდეგ, როცა სიზმარში ვიფრინდი ხოლმე...
გამომძიებელმა აღარაფერი თქვა, პორტფელი იდღიაში ამოიღო, რატომღაც ჩაიბუტბუტა „გმადლობთ“ და წავიდა.

მშობლებმა ირინე და მოხუცი ექიმი მართლაც დატოვეს.

ექიმმა სკამი მიიდგა ირინეს საწოლთან იდღიაში დიდხანს უყევებოდნენ ერთმანეთს, თუ სად და როგორ დაფრინავენ ირინეს სიზმრებში.

გამომძიებელი კი ქარიან ქუჩაში გარბოდა მხიარული პატივით ბიჭვით: აისროდა ქულს ჰაერში და დაიჭერდა, აისროდა და დაიჭერდა...

აბა ვინ დაიჯერებდა, რომ ერთი და იგივე იყო ეს კაცი და ის კაცი, ცოტა ხნის წინ დივანზე რომ იწვა სქელპორტფულთავქვეშამოდებული, სიცხიანი და მოწყენილი...



მხატვარი თეიმო მუხლიძე

გურამ კლდიაშვილი

ჯადოსნური ყუთი

მომიტანა ნინიკომ ჯადოსნური ყუთი, რომ აწონათ, იქნება ალბათ, სამი ფუთი. უცბად მია გამოჩნდა, — გამარჯობა გვითხრა, მერე მოყვა ზღაპრები და გვაცინა დიდხანს. გვეუცხოვა სახელი მუე გივის და გივოს, ებახიან, მგონია, ტელე...
ტელევიზორს.

ღაგვაგარე თბილისი

ჰეი, ტაქსი, ტაქსი!
მძღოლო, ჩქარა ჩაგვსვი,
ღაგვატარე გზები
ოცნებების მსგავსი,
მარცხნივ — ასაქროდი,
მარჯვნივ — ჩასაქროდი,
მოედანი, ხიდი
ზღაპრად მოსაყოდი.
გზატკეცილი სწორი,
გზატკეცილი გრძელი,
ასი, ასდამაზი
აივანი ძველი,
ფერცხლის შადრევანი
მოჩნრიალე ღზნით,
კლდეზე გორგასლანი
გამომდგარი ცხენით.
მწვანე ხეივანი,
მოჩითული სკვერი,
გაზონი და ბალი
კისარტყელას ფერი.
ჰეი, ტაქსი, ტაქსი,
მძღოლო, ჩაგვსვი, ჩაგვსვი,
ღაგვატარე გზები
ოცნებების მსგავსი,
რომ ფუმღეროთ თბილისს
სიხარულით ავსიღს,
გამარჯვების, ძმობის
და მშვიდობის გამზირს.



მხატვარი ბისო ხიდაშელი

ჩანჩქერი

ეს რა ყოფიღარ ჩანჩქერი,
გაოცებული დატკეპერი,
ზედ დაგდის კისარტყელები,
ფეხთან ბობოქრობს ნამკეპერი.
კლდე-და-კლდე გადმოთქარუნებ,
არც ხმა გეცვლება, არც ფერი,
ხარჯიხეებს შეაშინებდა
შენი ნაბტომი, ნაფრენი,
მოდი, გაჩუმდი ცლატახანს,
შენზე ღეჰი მაქვს სათქმედი.

ტინტილა

პატარა ხვლიკი-ტინტილა კენჭს აგორებდა თავდამართში, როცა მამამისი თავგაჭექყილი ნახეს ლელის პირას. მზე შუბის ტარზე იდგა. ალვის ხეები ჩურჩულებდნენ, ნიავი ფოთლებს შორის დასეირნობდა.

დედა ხვლიკი დიდხანს იდგა თავჩაქინდრული სარზე აყოლილ ლობიოსთან. სევდას მოეცვა. მაგრამ დაბინდდა, ძილის დრომაც მოატანა და ხვლიკმა თავის სადგომს მიაშურა. ძილი სევდაზე ძლიერია.

აგერ ვარსკვლავიც გამოჩნდა.

პატარა ხვლიკი უცნაური იყო: უყვარდა ცეკვა, სილაზე ხატვა და ჭრელ პემელასთან საუბარი. ვარსკვლავებით მოჭყედლი ცაც იზიდავდა. შულამისას გაიღვიძებდა, გამოხტებოდა ორლობეში და ზეცას მიაშტერდებოდა.

უფროსები ტუქსავდნენ: ხვლიკების საქმე მინაზე ხოხვა და სრიალია, ზოგჯერ ხეზეც შეიძლება აცოცება. თუ მოისურვებ, სილაშიც ინებიერე, ლოდებს შორის გაძვერი, ბალახებში გაინავარდე. მაგრამ ცას სამუდამოდ შეაქციე ზურგი. პემელასაც აარიდე თავი, იმეგობრე შენი ტომისა და გვარის შვილებთან. ქვის ქვეშ ხარ დაბადებული, ქვის ქვეშე გადაქრება სული. მანამდის კი მწერებს სადიე, ჭიებზე, ხოჭოებზე, კალიებზე ნადირობაში გაინაფყო.

ტინტილას წინწკლებიანი საფარველი და გრძელი კუდი ჰქონდა.

— მეხეტრელაე, შენსავით ლამაზი რატომ არ ვარ? — ჰკითხა ერთხელ მეგობარ პემელას.

— არ ვიცი, — მიუგო პემელამ.

— ხომ ვერ მეტყვი, რად გავჩნდი ამ ქვეყანაზე? — ისევ იკითხა ტინტილამ.

— წარმოდგენა არა მაქვს.

— ან შენსავით რატომ არ დაეფრინავ?

— გულკეთილი და მოუსვენარი ხარ, პატარავ.

უცემ ტინტილამ ენაგამოყოფილ დიდ ხვლიკს მოჰკრა თვალი. ბალახებს შორის მიძვრებოდა ბოროტი განზრახვით.

— აფრინდი, მეხეტრელაე! — ინივლა ტინტილამ.

ხვლიკმა ისკუპა. მაგრამ პემელა უკვე მაღლა მიფარფატებდა.

დიდმა ხვლიკმა სილა გაანა პატარას. ეტყინა ტინტილას, მაგრამ გული სასიამოვნოდ უძგერდა. ნეტავი რატომ?

რამდენი ხიფათია ამ ქვეყანაზე, გაიფიქრა ლოყაგასიებულმა და ძველი კრამიტის ქვეშ შეძრა. ეს მისი სახლი გახლდათ, მყუდრო, ფართო და საიდუმლოებით მოცული. საერთოდ, ძალიან უყვარდა თავისი სოფელი, სახლები, გრძელი ორლობე, ადამიანები, ხეები, ბალახ-შამში, ბუჩქები, ქვებით მოფენილი ადგილები. ქათმები წამდაწუნებ ტრაბახობდნენ, წარმოშობით ინდოეთიდან ვართო. ტინტილას კი ყველაზე მეტად, ვარსკვლავებზე უფრო მეტადაც კი, თავისი სოფელი, თავისი კუთხე უყვარდა.

დაღამდა. ტინტილა კრამიტიდან გამოძვრა. ქარს ცაზე ღრუბლები მოყარა და მეგო-





მხატვარი ლადო ტაბიშვილი

ბარი ვარსკვლავები არ ჩანდნენ. პატარა ხელიც გული დასწყდა. ამ დროს ბაყაყები აყიყინდნენ, აყფდნენ სოფლის ძაღლები. „სადა ხარ მეხეტრელავ, სადა ხართ ცის ცინინათელებო? რატომ გავჩნდი ქვეყანაზე?.. ოჰ, რამდენი საიდუმლოება და გაუგებრობაა ირგვლივ... ფუტკრები თაფლს ამზადებენ, ბულბული გალობს, ქათამი კვერცხს დებს, ბაყაყი ყიყინებს... ჩვენ კი, ხელივები, რის მაქნისები ვართ?“

...ერთ მშვენიერ დღეს საშინლად დაცხა. ბიჭები მდინარეში გადაეშენენ, ღორები ტალახში განჯნენ, ძაღლებმა ენები გადმოყარეს. ამ დროს სახლის პატრონის პატარა ბიჭი ეზოში გამოვიდა და ალუბლის ნორჩ ხეს მიადგა. ხელში ნაღდი ეჭირა.

— ახლა მოგჭრი, — უთხრა მან ალუბალს.

— ნუ მომკლავ, — შეეხვნა თაიგულივით მშვენიერი ალუბალი.

— შენგან ხმაღს გამოვთლი და მდინარეში მობანავე ბიჭებს ყურებს დავაჭრი.

ეს ნათქვამი უცებ გავრცელდა ეზოში. მერცხლები აფორიაქდნენ, მეხეტრელა გულნასული დაეცა ლელვის ფოთოლზე.

მუხამ თქვა: — სიარული შემქმდოს, მე ვიცი, როგორ დავუგრძელებდი ყურებსო.

სიკომ გერანგის სახელოები აიკაპინა, ხელებზე დაიპურჭყა და ნაღდი მოიმარჯვა. ის იყო, ნაღდი უნდა მოექნია, რომ უეცრივ ბალახიდან ტინტილა გაიბოხხა და სიკოს შიშველ ფეხზე გადაურბინა. ბიჭი შედგა. ახლა მეორე ფეხზე შეახტა ტინტილა. სიკომ

ნაღს ხელი უშვა და ღრიალით გავარდა სახლისაკენ.

— ყოჩაღ, ტინტილავ: — თქვა გონზემოსულმა მეხეტრელამ.

ამ დროს, მოშორებულში, ქორმა დედა ხელიკი აიბაცა ჰაერში.

ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ!

...დაფიქრებული იდგა ბექობზე დაობლებული ტინტილა. „მინც რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე?“

ქვემოთ ოქროს დეზებიან მამალს მოჰკრა თვალი. ეზოს ყორი ქათმებს შორის იდგა და პანანა ლეკვს თავში ნისკარტს უკაკუნებდა. ტინტილა ბიჭი ქვეასთან მიიჭრა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიანვა. ქვა დაღმართზე დაგორდა და მამალს მოხვდა ჭრულ ბოლოსთან. მამალს მოკლე ფრთები აქვს, და მცირე მანძილზე გაფრინდა. მეტე კი მოუსვა კრიახითა და კაკანით...

საერთოდ, ხელიკები იშვიათად იღიმებიან. ტინტილა ბიჭი კი ბებერ მუხასთან იდგა და მთელ ეზოსთან ერთად გულიანად იციროდა.

მუხამ უთხრა:

— ტინტილა, გინდა გითხრა, რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე?

— ძალიან მინდა, ბაბუ!

— იმიტომ, რომ დაეტკბეთ მშვენიერებით, ჩვენც მშვენიერების შექმნას და სიკეთეს ვემსახუროთ...

იდგა ტინტილა და, მართალია, ობოლი იყო, პატარა გული რატომღაც ისევ სიამოვნებით უძვერდა.

ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

გყე შეუნახეთ შვილებსა

ერთხელ პაპა და შვილი-შვილი ტყეში წავიდნენ სოკოს დასაკრებლად. პაპა სოკოებს კრებდა და თან შვილიშვილს მათ სახელებს ასწავლიდა,—ეს წითელკა-ბაა, ეს ხრაშუნა, ეს რძინა და ეს ქაბა სოკოო. მალე კალათა სოკოებით ვაავსეს და იქვე, ტყის პირად დას-ხდნენ დასასვენებლად.

რა კარგი ჰაერია, პაპა,— თქვა ზურიკომ,—ნეტავ რა-ტომ არის ტყეში უკეთესი ჰაერი, ვიდრე სოფელში?

— რატომ და, ხედავ, შვილო, რამდენი მცენარეა აქ! ესენი, დიდი თუ პა-ტარა, ქმნიან ჟანგბადით

მდიდარ ბერსა და ჯანსაღ ჰაერს.

— მცენარეები რომ არ იყოს, პაპა?

— მაშინ ჟანგბადი არ გვექნებოდა და დავიღუპე-ბოდით. ამის გარდა დიდი, კოკისპირული წვიმების დროს მცენარეების ტოტე-ბი და ფესვები რომ არ იპერდეს წყალს, ნიაღვარი ერთიანად გამოვარდებო-და, წალექავდა ჩვენს ბაღ-ვენახებს და ველ-მინდორს და დიდ ზიანს მოგვაყენებ-და, ბოლოს კიდეც,—მცე-ნარეები რომ არა, სასმელი წყალი არ გვექნებოდა, წყაროები დაშრებოდა და უწყლოდ დავჩრებოდით. წყალი კი, შვილო, სიკო-ცხლედა. უწყლოდ ვერც აღამიანი იარსებებს, ვერც ცხოველები და მწერები; მცენარეები გახმება, ჟანგ-ბადი აღარ იქნება და უჟან-გბადოდ კი დედამიწაზე საერთოდ მოისპობა სი-კოცხლე.

ამიტომ ჩვენი სახელმწი-ფო და თვით ხალხიც მარ-ტო ბუნებრივ ტყეს კი არ უვლიან, ხელოვნური ტყეების გაშენებაზეც ზრუ-

ნავენ—რგავენ და უვლიან ხეებს.

— პაპა, პაპა,—წამოიძაბა ზურიკომ—ამ ვახაფხულზე თითო ძირი ცაცხვის ხე დავრგეთ, სამჯერ წყალი დაუუსხი და ვახვირფ.

— ყოჩად, შვილო, კარ-გი გიქნია. კვლავ უფრო მეტი ხეები დავგროვოს და ვავახარებინოს. ეგ... რომ იკოდე, ზურიკო, როგორ ტირის ხე, როცა მას კაცი სჭრის; როგორ ეშურდარე-ბა,—რათა მჭრი, რა დავე-შავე, არ გებრალევი, სი-კოცხლეს რომ მისპობო? განა ლაპარაკი რომ არ იცის ჩვენსავით, აქნა გგო-ნია, გრძობა არა აქვს?

— პაპა, შენ ისე შემაყ-ვარე მცენარეები, ამის შემ-დეგ ერთ წიკვალასაც კი არ მოვტორო.

— აი კიდეც რა უნდა გი-თხრა, შვილო,—გავგრძელა პაპამ,— შემოდგომით მცე-ნარეების ფოთლები უციო-ლდება, ხმება და დედამი-წაზე ცვივა. ხშირად პატა-რა ბავშვები გამხმარი ფო-თლებით ცეცხლს ანთებენ ტყეში. ცეცხლი შეიძლე-ბა გაძლიერდეს, წაეკიდოს ხმელ ფოთოლს და ხის ხმელ ტოტებს, მოეღოს ტყეს და გადაწვას. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ხანძარი არ გაჩნდეს და ტყე არ დაიღუბოს.

ასე რომ, დაიხსომე, შვი-ლო, ტყეს მოვლა უნდა. ჩვენს მამა-პაპასაც შეიღე-ბისთვის შეუნახავს ტყე და შენ და შენისთანებმაც, ლექსად უნდა გითხრა, —ტყე შეუნახეთ შვილებ-სა“.



მხატვარი თამარ მამულაძე



სიციხო გამარალიძე

წახსოთ „ზეღაგვი“ სიყვავი

- ბები, ზღაპარი მამებე, რა!
- ზღაპარს ძილის წინ ვიამბობ. ახლა კი სხვა საქმე მაქვს შენთან. ხომ კარგად იცი ზღაპრების გმირები: ოქროსქოჩორა, ნაკარქექია, მუხაგლეჯია, წითელქულა, ცეროდნა... დააკვირდი. ყველას სახელი ორი სიტყვისაგან არის შედგენილი.
- სიზმარას რომ სიზმრისხელია არა ჰქვია!
- იმიტომ, რომ სიზმარა უფრო ლამაზია სახელად. ჩვენმა ქართულმა ენამ ასე იცის—ვისაც რა მოუხდება, იმ სახელს შოარგებს. ცისკარას რომ ცისკარზე ნაშობი ვრქვას, ივარგებსღა? ნამცვეცას—ნამცვეცის ხელა? ანდა ირმისას—ირმის შვილი?
- კომბლეც, არა, ბებო!
- ჰო, ჩემო კარგო. მაგრამ მოდი, ახლა სხვა სიტყვებს გეტყვი, შენ კი დააკვირდი და მითხარი, იმათგან რომელი იქნება განსხვავებული. აი, ვთქვათ: ლურჯი, წითელი, ვარდისფერი, ყვითელი... ესენი ყველა—ფერებია, მაგრამ მარტო „ვარდისფერი“ გეუბნება, რომ ეს ყვავილის—ვარდის ფერია; ამ ოთხიდან მარტო ვგ სიტყვაა, ორი სიტყვისაგან რომ შედგება; ახლა სხვა ვთქვათ: ოქროსფერი, მწვანე, ყავისფერი, ცისფერი. აქ „მწვანეა“ განსხვავებული, დანარჩენები ორ-ორი სიტყვისაგან არიან შედგენილი.
- კიდევ მითხარი რა, ბები! აბა თუ მიეხვედები!
- გეტყვი კი არა, ჩამოვიწერ სხვადასხვა წესით დაჯგუფებულ სიტყვებს, შენ კი გამოაცალკევე „ზეღამეტი“ სიტყვა. ზოგან ეს „ზეღამეტი“ სიტყვა აზრობრივად იქნება განსხვავებული, ზოგან—შედგენის წესით. აბა, აბა ნახე:

- მევენახე, მეჩაიე, მშენებელი, მეშახტე.
- ავტომანქანა, უნიულშპრელი, მატარებელი, ელმაგალი.
- გონიერი, ნიჭიერი, თვალსაწიერი, გულსისხიერი.
- უსუნო, უიარაღო, ურჩხული, უგულყო.
- თვითმფრინავი, თვითმგალი, ორთქლმგალი, თვითმცლელი.
- სიმაღლე, სინაზე, მშვენიერება, სისულელე.
- ახალქალაქი, ახალდაბა, ახალგაზრდა, ახალციხე.



საქართველოს ალექ ცეცისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი უმცროს-კლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან. საქ. კ. ცეცის გამოცემლობა.

მთავარი რედაქტორი მანანა ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: მღვარდ ანთონაძე, ილია ანთონაძე, მერი ღამთაშვილი, სოლომონ მჭედიაშვილი, ლეილა მრამბ, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მანანა მონათლიანი, ჯურაბ ნაღმდამი, პირობი რომიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინათინ ჩალაშარი (პ.მ. მღვანე), გივი ქაშელაძე, გივი ზვიზნაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქცია, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის 98-81-80, 98-98-15; პ.მ. მღვანის 98-10-82, 98-98-18; სახ. რედაქტორის — 98-98-18; განყოფილებების: 98-98-19; 98-98-17.

გადაეცა ასაწეობად 84. 01. 85 წ. ხელმოწერილია დასაბჭებლად 21. 08. 85 წ. ქალაქის ზომა 60x90/16. ფ. ნა. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000, შეიცვითა 217.

უფლებ ნახტო ლალი ლომთაძისა

«Дилла» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 217.

გაგაჩანას ქოშვანი

იჯორი

მხატვარი
ელეზარე ამოთაძე

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

